**სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა**

**მოსამართლეობის კანდიდატის** *ვლადიმერ წითლაურის* **შეფასების შედეგი:**

| | |
|---|---|
| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით** | |
| მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☒ |

**მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით**

| **კრიტერიუმი** | **მიღებული ქულა** | **მაქსიმალური ქულა** |
|---|---|---|
| სამართლის ნორმების ცოდნა | 23 | 25 |
| სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია | 23 | 25 |
| წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი | 14 | 20 |
| პროფესიული თვისებები | 12 | 15 |
| აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა | 10 | 10 |
| პროფესიული აქტივობა | 5 | 5 |
| **ქულათა ჯამი** | 87 | 100 |

**გიორგი გზობავა**

**თარიღი :** 17.09.2024 წ

## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

## გიორგი გზობავა

**„17“ სექტემბერი, 2024 წელი** **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის **- ვლადიმერ წითლაურის**

**მ ე ფ ა ს ე ბ ა**

**1. შეფასების პროცედურის შესახებ**:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით, ჩატარდა საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა 17 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 ივლისის №1/77 განკარგულების შესაბამისად, მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მიზნით დარეგისტრირდა **ვლადიმერ წითლაური.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $34^7$ მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $34^1$ მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 3 სექტემბერს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის - **ვლადიმერ წითლაურის** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,ორგანული კანონის“ $34^1$ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, ,,კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შევაფასე - ,,ორგანული კანონის“ $35^1$ მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

**<u>1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით</u>**

კანდიდატი **ვლადიმერ წითლაური** არის შრომისმოყვარე, პრინციპული, თვითკრიტიკული, პასუხისმგებლიანი, თავაზიანი, სამართლიანი, კეთილსინდისიერი, დამოუკიდებელი, საიმედო პიროვნებას. ასევე, მას სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და ფინანსურ ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. ამასთან, კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას - გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, **ვლადიმერ წითლაური** საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიან საინფორმაციო ბანკში არ ირიცხება.

შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არ იკვეთება რაიმე სახის შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა კანდიდატის ქონებრივ მდგომარეობას, მის შემოსავლებს და ვალდებულებებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა მოსამართლეობის კანდიდატის ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის.

**<u>დასკვნა:</u>** ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი - **ვლადიმერ წითლაური <u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.</u>**

## <u>2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით</u>

### <u>2.1. სამართლის ნორმების ცოდნა</u>

**ვლადიმერ წითლაური** არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 76/17.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 1.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, *ადმინისტრაციულ სამართალში* ვლადიმერ წითლაურმა წარმოაჩინა მრავალმხრივი თეორიული ცოდნა, მას უმაღლეს დონეზე შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, არის სწრაფი და დამაჯერებელი, მისი დასაბუთებები ლოგიკური და გასაგებია. *სისხლის სამართლის* სამართლებრივ საკითხებში სწრაფად ერკვევა, იღებს ლოგიკურად დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს, თანმიმდევრულად და გასაგებად აყალიბებს აზრს, გადაწყვეტილებების პროექტების მომზადებისას დასაბუთებულად იყენებს ევროპული სასამართლოს და ეროვნული სასამართლოების მიერ დადგენილ პრაქტიკას, ქმედების კვალიფიკაციის განსაზღვრის დროს თავისუფლად შედის დისკუსიაში და არგუმენტირებულად ასაბუთებს თავის პოზიციას. *სამოქალაქო სამართალში* ვლადიმერ წითლაურს შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, მან შესანიშნავი სამოსამართლეო უნარ-ჩვევები გამოავლინა რელაციის მეთოდით სამოქალაქო დავათა დამუშავებასა და გადაწყვეტილების მიღების ტექნიკაში. რეკომენდებულია მან იმუშაოს სემინარული მუშაობისას დაშვებული მცირე შეცდომების გამოსწორებაზე და წერილობითი უნარების მეტად განვითარებაზე.

კომპეტენტურობის კრიტერიუმის შემადგენელი მახასიათებლის - სამართლის ნორმების ცოდნის კუთხით, შეფასებისას უნდა ითქვას, რომ **ვლადიმერ წითლაური** სისხლის სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს სისხლის სამართლის, ასევე საერთაშორისო სამართლის სფეროს, საპროცესო კანონმდებლობას, საქართველოს კონსტიტუციას და ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს.

**<u>დასკვნა:</u>** კომპეტენტურობის კრიტერიუმით (სამართლის ნორმების ცოდნა) შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ვლადიმერ წითლაური** უნდა შეფასდეს 23 ქულით (მაქსიმალური ქულა 25)

**<u>2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>**

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატს აქვს სპეციალობით მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება. გამოკითხული რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან და რეკომენდაციებიდან გამომდინარე, ვლადიმერ წითლაურს, როგორც გამოცდილ ლექტორს და პრაქტიკოს მუშაკს გააჩნია შესანიშნავი სამართლებრივი დასაბუთების უნარი და მაღალი კომპეტენცია.

კანდიდატს გააჩნია ანალიტიკური აზროვნებისა და აზრის კვალიფიციურად გადმოცემის უნარი, შეუძლია სამართლის სხვადასხვა სფეროში აქტუალურ საკითხებზე არგუმენტირებული მსჯელობა.

**<u>დასკვნა:</u>** სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ვლადიმერ წითლაური** უნდა შეფასდეს 23 ქულით (მაქსიმალური ქულა 25).

**<u>2.3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>**

**ვლადიმერ წითლაურს** გააჩნია ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. ამასთან, მას შეუძლია მოთმინებით მოისმინოს განსხვავებული აზრი. კანდიდატი გასაუბრებისას მშვიდად და დამაჯერებლად პასუხობდა საბჭოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს, კვალიფიციურად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას, ნათლად და გასაგებად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, ვლადიმერ წითლაურის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები შედგენილია სწორი საპროცესო ფორმით, გასაგები ენით, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასებისა და სამართლებრივი მსჯელობის საფუძველზე. შესაფასებელი პირის მომზადებული გადაწყვეტილებები/საპროცესო დოკუმენტების პროექტების მოწონება შეიძლება, მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირებას საჭიროებდა.

**<u>დასკვნა:</u>** წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ვლადიმერ წითლაური** უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური ქულა 20).

**<u>2.4. პროფესიული თვისებები</u>**

რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივი თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან გამომდინარე, კანდიდატი არის პუნქტუალური, შრომისმოყვარე, მიზანდასახული, საიმედო, კომუნიკაბელური, აქვს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა.

**<u>დასკვნა:</u>** პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ვლადიმერ წითლაური** უნდა შეფასდეს 12 ქულით (მაქსიმალური ქულა 15).

**<u>2.5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>**

**ვლადიმერ წითლაურის** გააჩნია თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნის შეძენის ინტერესი. კანდიდატი მრავალი წელია მოღვაწეობს, როგორც გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, ისე სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში. კანდიდატი არის რამდენიმე სამართლებრივი სტატიისა და ნაშრომის ავტორი.

***<u>ნაშრომები/პუბლიკაციები:</u>***

- „ქართული სისხლის სამართლის პოლიტიკის ზოგიერთი საკითხის განსაზღვრისთვის", ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, 2015 წელი;
- „აღდგენითი მართლმსაჯულების არსი და მნიშვნელობა", კავკასიის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული №8, 2017 წელი;
- „არასრულწლოვანთა განრიდების თავისებურებანი, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი №4, თბილისი, 2022 წელი;
- ტესტები და კაზუსები საქართველოს სისხლის სამართალში (სისხლის სამართლის კოდექსის პირველი 9 კარის პრაქტიკულ - თემატური განხილვა), თბილისი, 2011 წელი;
- „არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები", 2024 წელი.

**<u>კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას:</u>**

- 2014 წლის სექტემბერი - 2015 წლის ივლისი - ლექტორი - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- 2015 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- 2018 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- 2021 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
  2020 წლის სექტემბერი - დღემდე - ლექტორი - ეროვნული უნივერსიტეტი.

მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა:

- კანდიდატმა 2023 წელს ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაცაციაში;

- 2013 წელს ჩააბარა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

**<u>დასკვნა:</u>** აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ვლადიმერ წითლაური** უნდა შეფასდეს 10 ქულით (მაქსიმალური ქულა 10).

**<u>2.6. პროფესიული აქტივობა</u>**

მოცემული კრიტერიუმებით **ვლადიმერ წითლაურის** შეფასებისას, აღსანიშნავია, რომ არის სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი. ეწევა პედაგოგიურ-სამეცნიერო საქმიანობას, გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები, სისტემატურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა პროფესიულ დისკუსიებში, ფორუმებსა და სამეცნიერო კონფერენციებში.

**<u>ვლადიმერ წითლაურმა მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:</u>**

- სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების მხარდაჭერის ფარგლებში ევროკავშირის დაფინანსებით ტრენინგი შსს-ს მენეჯმენტის საკითხებში - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ევროკავშირი, 2021 წელი;
- ლექტორის (ინსტრუქტორის) მომზადების კურსი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ევროკავშირი, 2021 წელი;
- სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების მხარდაჭერის ფარგლებში ევროკავშირის დაფინანსებით ტრენინგი შსს-ს მენეჯმენტის საკითხებში - შინაგან საქმეთა სამინისტრო, ევროკავშირი, 2021 წელი;
- სასაზღვრო და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების მეთოდიკა - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2022 წელი;
- გამოძიების ჩატარების ტექნიკა ავტოსაგზაო შემთხვევების საქმეებზე - ამერიკის საელჩო, 2023 წელი და სხვა.

**<u>დასკვნა:</u>** პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ვლადიმერ წითლაური** უნდა შეფასდეს 5 ქულით (მაქსიმალური ქულა 5).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **ვლადიმერ წითლაური <u>სრულად აკმაყოფილებს "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს</u>**, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა **87** (ოთხმოცდა შვიდი) ქულა.

გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი